



იმისთანა წმინდა საცმეში, ბოგბოღი ბეჭე-
უბი სიფყავს, ცუდიღობით და ჭებობით ბუბ-
თის გაფანა ყულა უჯანსიბთაჲ უსამაგლსია.



გაგონის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

სამშაბათი, 19 თებერვალი. 2019 წ. №35 (8701)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი

ჩვენი გეობრაფია - ლოსპას და წყევლას! 5



თუ ანაკლიის პროექტი
წარმატებით განხორციელდება,
ის ახალი ეპოქის ერთგვარი
სიმბოლო გახდება

400 000 კასი... სათაბაშო ბიზნესის ნარკომანები 8

გაგონას მონები რქდასს სიმატლის თქმა სამუშაოს ღალატია! 4 5



მცხეთის გენგებმა მუშაობა განახლდა 9

რას მისცემს
ეს მოსახლეობას?



სენსაცია: ამერიკული ანალიზი

სააკანთ ბიჭი ერთი პროცენტით ბერძენი ყოფილა...

17 თებერვალს ფაილბუქ-
ზე საქართველოს ყოფილი
პრეზიდენტის მიხეილ სააკა-
შვილის ხელმოწერით
განსაცვიფრებელი ინ-
ფორმაცია (ყოველ შემთხ-
ვევაში ავტორი ასეა დარ-
წმუნებული) დაიდო: „გვითი
სისხლი არ არის ჩვენი არა-
ქართული“, მასში ვკითხ-
ულვით:

„ცნობისმოყვარეობამ მძლია
და გავიარე ამერიკაში ძალიან
პოპულარული გენეტიკური ტეს-
ტი, აღმოვჩინე 99%-ით ქართვე-
ლი და 1%-ით - ბერძენი.
ეს ტესტი ზუსტად განსაზღ-
ვრავს შენი წინაპრების წარმო-
მავლობას მინიმუმ ბოლო ათა-
სობით წლის განმავლობაში. არ
აღმოჩნდა არც ერთი წვეთი რე-
გიონის სხვა მოსახლეობისა. ამ
კვლევის მიხედვით ირანი და
თურქეთი დავაგვირებელია სა-
ქართველოსთან, ოღონდ იმის გა-
მო, რომ ამ ორ ქვეყანაში ისტო-
რიულად ბევრი ქართველია. აღ-
მოჩნდა, რომ ჩემი წინაპრები სა-
ერთოდ არავისთან არ არეულან
ქართველების გარდა მრავალი
საუკუნის განმავლობაში და მე
პირველმა დავარდივე ეს ტრადი-
ცია ვეროპელთან ქორწინებით.
ყველა მებობელს პატივს ვცემ
და, რა თქმა უნდა, ყველა ეთნი-
კური წარმოშობის საქართვე-
ლოს პატრიოტი მიყვარს, მაგრამ
ახლა მოდით იმათ გაიარონ გე-

ნეტიკური კოდი, ვინც მუდმივად
სხვა ეთნოსს მიმაკუთვნებდა და
ედავონ მერე ზუსტ გენეტიკურ
მეცნიერებას“.

რა შეიძლება ითქვას ამ მარ-
თლაც განსაცვიფრებელ დოკუ-
მენტზე? პირველ რიგში ის (თუ
ყველაფერი მართლაც ისეა,
როგორც ნათქვამია), რომ მიშა
ერთობ დაუკოდავს მოძულეთა
შეძახილებსა და შეწამებებს,
ხოლო კვლევის შედეგს ძალი-
ან გაუამაყებია და თვითდაჯე-
რებული გაუხდია.

რატომაც არა!
მაგრამ მთავარი მაინც სხვა
რამ არის:

ის, რომ სწორედ ახლა, მა-
ინცდამაინც ახლა გაიარა ეს გე-
ნეტიკური ტესტი, ახლა, როცა
მისი აზრით, „მოუმწიფებელია
საქართველოში დაბრუნება“,
როგორც მოვლენათა ანალიზი
გვაგუჟანებს - დაბრუნება
შესაძლებელია ძალით, საქარ-
თველოს ამჟამინდელი ხელი-
სუფლების „დამხობით“, რო-
გორც ერთხელ უკვე ქნა - პო-



ლონეთიდან ძალით შევიდა უკ-
რაინაში და არც კი უფიქრია,
თუ საბოლოოდ რითი დამთავ-
რდა ის ყოველივე. სააკაშვილმა
ჩაიფიქრა დიდი სიახლე - „ლი-
ეჟური შეტევა“ და ახლა დამა-
ტებით „ფაქტორებს“ ეძიებს.
გენეტიკური ტესტი ერთ-
ერთი მათგანია, მისდამი რწმე-

ნაშერყვეულ ქართველებს, რო-
მელთა შორის ცოტანი როდი
არიან, ვინც მას „მუდმივად“ ან
„დროდადრო“ „სხვა ეთნოსს მი-
აკუთვნებენ“ და ახლა მიშამ და-
ეჭვებულთ 99%-იანი ალიბი და-
უდო. ასეთი „საბუთის“ მქონე
თავდაჯერებული მიშა, უკვე
იმუქრება კიდევ - „ახლა მო-
დით, იმათ გაიარონ გენეტიკუ-
რი ტესტი, ვინც მუდმივად სხვა
ეთნოსს მიმაკუთვნებდაო“.

**ანუ აი, მოვალ და ვაი, გა-
ათო!**
და ვერ ხვდება, რომ მას უკ-
ვე 99%-პროცენტის დოკუმენ-
ტიც ვეღარ დააბრუნებს საქარ-
თველოს ხელისუფალის სავარ-
ძელი. მერე რა, საქართველო-
ში ეგეთი გენეტიკური ტესტის
მქონე 3 მილიონი კაცია, უიმი-
სოდ გასულ ამ 6-7 წელიწადში,
შეიძლება გონებადაბინდულ
ნაცებისთვის არ ჩანდეს, მაგრამ
საქართველოში ბევრი რამ უკე-
თესობისკენ შეიცვალა.
შეიცვალა როგორც სახე-
ლისუფლებო რგოლი, ისე ელ-

ექტორატი და მიშას ძალიან,
ძალიან გაუჭირდება მათა-
რების ჯერ დანევა და მერე
ახტომა.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ
მატარებელი უკვე ბევრად
სწრაფად მიდის, ვიდრე მის
დროს.

მეორეც, გუნდი, რომელ-
მაც ის მატარებელს უნდა გა-
მოაკიდოს და შეახტუნოს, უკ-
ვე აღარ არის არც ერთგვარო-
ვანი და არც მთლიანი, თანაც,
რაც მთავარია, არც დიდი გუ-
ლისფანქვალთ ელოდება
რომელიმე საზღვრიდან მის
შემოქროლებას.

მიშა ზმანებებში ხედავს
სურათს: ასაფრენად ამსხ-
ლტარ პეგასზე ამხედრებულ
ვარსკვლავბიჭუნას წინ გან-
ვიდლ ხელში გენეტიკური
ტესტის დასკვნა უჭირავს, რო-
მელზეც ოქროს ციფრები
ელავს - 99%. ვარსკვლავბი-
ჭუნას ყურებში ბედნიერი სა-
ქართველოს ტაშისცემა და ყი-
ჟინა უგუფუნებს, ოღონდ ბედ-
ნიერი საქართველო არ ჩანს,
ის იგულისხმება...

ასეთ დროს იტყვიან
სოლვე, ვაი შენს პატრონს,
უბედურსო!

რამდენი და რამდენჯერ
უნდა შეგაშალოს, შერაპი-
ლო სააკაშვილო!

სანდრო ალექსიძე

პრემიერ-მინისტრმა დრეზდენში VOLKSWAGEN-ის ელექტრომობილების ქარხანა დააშენა

მთავრობის მეთაურმა წარმოების პროცესი დაათვალიერა და ქარხნის ხელმძღვანელი პირებისგან ელექტრომობილების აწყობის ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.



ნინ, თბილისში ვიზიტისას გადასცა. საუბარი შეეხო საქართველო-გერმანიის ურთიერთობების განვითარების პოზიტიურ დინამიკას, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში და სხვადასხვა სფეროში წარმატებულ თანამშრომლობას.

მხარეებმა ასევე განიხილეს ეკონომიკური კავშირების გაღრმავების მიმართულებით არსებული პოტენციალი, პროფესიული განათლების სფეროში თანამშრომლობის პერსპექტივა და ისაუბრეს ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიმართულებით გამოცდილების გაზიარებაზე.



მამუკა ხახტაძე დრეზდენში საქსონიის მიწის პრემიერ-მინისტრს უხვდა

საქართველოს მთავრობის მეთაურის პატივისცემად გამართულ ოფიციალურ ვაშამზე, მისხალ კრემ-მერმა მამუკა ხახტაძეს მადლობა გადაუხადა დრეზდენის გალერეის დაკარგული ექსპონატის, პიეტრო ფრანჩესკო ჩიტადინის მე-17 საუკუნის ფერწერული ტილოს დაბრუნებისთვის.

დავით ჭიჭინაძე: „შერაპულსობას 7 დავუბათი დავთოვებს“

ისნის რაიონის მაჟორიტარი დავით ჭიჭინაძე ვარაუდობს, რომ უახლოეს მომავალში „ოცნების“ შემრავლებს დაიშლება, რადგან მას შვიდი დეპუტატი დატოვებს. ეს დეპუტატები ისინი არიან, რომლებიც ეკა ბესელიას პოზიციას იზიარებენ.



დელტამ უმსხვილეს გამოფენაზე პარტიული წარმომადგენლის იარაღი წარაგვინა

უმსხვილეს გამოფენა IDEX-2019-ზე, პირველად საქართველოს ისტორიაში, „დელტამ“ ეროვნული წარმომადგენლის წარმომადგენლის სახელმწიფო, საზღვაო და საჰაერო თავდაცვითი მრეწველობის ნიმუშები წარმოადგინა.

ნიზებული ბიკალიბრული უმხარო ნაღმმტყორცნი „მყურდო“, მოდერნიზებული ტანკსანინალმდგო ნალმი რდ-7, მოდიფიცირებული ტანკსანინალმდგო ყუმბარმტყორცნი RPGL-7G, 338 კალიბრის სნაიპერული შაშხანა „სატყევიარი-2“ და ინდივიდუალური დაცვის სისტემები.



თავდაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი და „დელტას“ გენერალური დირექტორი უჩა ძიძუაშვილი მის გუნდთან ერთად გამოფენის პირველ დღეს შეხვდნენ პარტნიორებს და უმასპინლეს ქართული წარმოების სამხედრო პროდუქციით დაინტერესებული კომპანიებისა და ქვეყნების წარმომადგენლებს.

IDEX არის ერთადერთი სტრატეგიული და მნიშვნელოვანი სამხედრო-საინჟინერო საერთაშორისო თავდაცვითი მრეწველობის გამოფენა და კონფერენცია MENA-ს რეგიონში (Middle East and North Africa) ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონი, რომელიც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო თავდაცვითი მრეწველობის სექტორის დემონსტრირებას ახდენს.

აღნიშნულ გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც სახმელეთო და საავიაციო შეიარაღების სრული სპექტრი, მათ შორის მსუბუქი ჯავშანტექნიკა, ტანკები, საჰაერო თავდაცვის რადიოლოკაციური და სარაკეტო სისტემები, შვეულმფრენები, ტანკსანინალმდგო შეიარაღება, საბრძოლო მასალები, რეაქტიული და ლუღიანი არტილერია, დაზვერვის, ბრძოლის ველის მართვის და კავშირგაბმულობის სისტემები, რადიოქიმიური და ცივის სისტემები, ინდივიდუალური დაცვის საშუალებები და ცეცხლსასროლი შეიარაღება, ისე სამხედრო-სამოქალაქო დანიშნულების სამრეწველო ნედლეულის და კომპონენტების მწარმოებელი კომპანიების პროდუქცია.

გამოსათხოვარი

რამაზ ურუშაძე

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის კოლექტივი უდიდესი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი რამაზ ურუშაძე.

ბატონი რამაზი იყო დიდი მამულიშვილი, გამორჩეული თავისი ცოდნით, გამოცდილებით, შრომისმოყვარეობით, საქმის ერთგულებითა და ქვეყნის სიყვარულით. დიდი ჩვენი, მისი მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების გულისტკივილი მისი გარდაცვალების გამო.

რამაზ ურუშაძე ჩვენი ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გამორჩეული პიროვნება იყო. ფასდაუდებელია მისი წვლილი საქართველოს ჯანდაცვის სექტორის განვითარებასა და ახალი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ჩამოყალიბებაში. 70-იანი წლების დასასრულს მოსკოვის მეორე სამედიცინო ინსტიტუტის და ორდინატურის დამთავრების შემდეგ, დაბრუნდა საქართველოში და პრაქტიკული საექიმო საქმიანობა გააგრძელა ქირურგიის მიმართულებით. 10 წლის განმავლობაში იგი იყო დამანისის რაიონის მთავარი ექიმი. სომხეთში მომხდარი სპიტიაკის მიწისძვრის დროს მისი უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელდა დამანისის საავადმყოფოს სრული მობილიზება, თავის გუნდთან ერთად საქართველოს მხრიდან ერთ-ერთი პირველი ჩავიდა დაზიანებულ რეგიონში, კოლეგებთან ერთად თავდაუზოგავად ეხმარებოდა მავნელებს დაშავებულების გამოყვანაში და უზრუნველყოფდა მათ შემდგომ სამედიცინო დახმარებას. როგორც საველე ქირურგი, ომის დროს იგი მუშაობდა აფხაზეთში და ამ თავდადებისთვის მიღებული აქვს სამთავრობო ჯილდო.

ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღების დღიდან იგი მონაწილეობდა ჯანმრთელობის სისტემის აღორძინებაში, 90-იანი წლების იმდროინდელ გუნდთან ერთად იყო რეფორმების პირველი ტალღის შემოქმედი და თანავეტორი და პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი. იგი სათავეში ჩაუდგა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის ორგანიზებისა და რეგიონული მართვის დეპარტამენტს. შემდგომში ბატონი რამაზი იყო საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსი და მინისტრის მოადგილე. მისი საქმიანობა ქვეყნისთვის უმძიმეს პერიოდს დაემთხვა. აფხაზეთის მოვლენების შემდგომ საქართველო და ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ურთულესი ამოცანების წინაშე იდგა. აუცილებლობას წარმოადგენდა რეფორმა, რომელიც უზრუნველებდა მოსახლეობის საჭიროებებს. თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ახალი საზოგადოებრივი ჯანდაცვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენი გახდა ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვაში და საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონულ დონეზე. ბატონი რამაზი მონაწილეობდა დიფთერიის ეპიდემიის ლიკვიდაციაში, მალარიის კონტროლში, ხოლო პოლიომიელიტის ერაღიკაციისათვის განუხლები ღვაწლისათვის დაჯილდოვდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ვეროპის რეგიონის ოქროს მედალით. დიდი მისი წვლილი ქვეყანაში თამბაქოს კონტროლის ღონისძიებების ინიცირების კუთხით. წლების განმავლობაში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციაში იგი წარმოადგენდა საქართველოს თამბაქოს ჩარჩო კონვენციის შემუშავების პროცესში.

ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი



ბატონი რამაზი მრავალმხრივი აზროვნების ადამიანი იყო. იგი ხედავდა, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანდაცვა მოითხოვდა ახალ საგანმანათლებლო პროგრამებს, პროფესიონალების გადამზადებას და სათავეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პირველ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კათედრას, სადაც შეიქმნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა.

2004 წელს რამაზ ურუშაძე მიიწვიეს დამანისის მუნიციპალიტეტში გამგებლის პირველ მოადგილედ. მისი თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა ახალი მუნიციპალური მმართველობის კულტურას, ჯანდაცვითი საკითხების აქტუალობის წარმოჩენას ადგილობრივ დონეზე. რაიონის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის 2012 წელს იგი აირჩიეს დამანისის საპატიო მოქალაქედ.

2005 წლიდან მან პედაგოგიური საქმიანობა განაგრძო საქართველოს უნივერსიტეტში. იგი იყო ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. მის ხელმძღვანელობით სკოლის არაერთი მაგისტრი და დოქტორი აღიზარდა, რომლებიც დღეს წარმატებით მოღვაწეობენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ. რამაზ ურუშაძის ავტორობით გამოცემული არაერთი სახელმძღვანელო, მათ შორის: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა: თეორია და პრაქტიკა“, „სახელმწიფო პასუხისმგებლობა და ჯანდაცვის სისტემები“ და „თანამედროვე საავადმყოფოს ორგანიზაცია და მენეჯმენტი“. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და განათლების სისტემებში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის ბატონი რამაზს მიენიჭა ღირსების ორდენი.

ბოლო ათწლეული ბატონი რამაზი მუშაობდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში, რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე და კვლავ თავდაუზოგავად აგრძელებდა შრომას ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში თანამედროვე მოთხოვნების დასაშვადრებად.

რამაზ ურუშაძე იყო საუკეთესო მეგობარი, ნიგნიერი და მრავალმხრივ განათლებული ადამიანი, გამორჩეული პიროვნული თვისებებით, დახვეწილი შინაგანი კულტურითა და მაღალი ღირებულებებით. ამავე დროს ის იყო საოცრად მოკრძალებული და თავმდაბალი. მისთვის უცხო იყო მტრობა, სახეს იყო ადამიანებისადმი სიყვარულით, სიკეთითა და დადებითი მუხტით. ყველა პრობლემას თუ გამოწვევას მისეული იუმორით ხედავოდა, მხარში ედგა თითოეულ კოლეგას, ამხნევებდა და არასოდეს იშურებდა საჭირო რჩევასა და თანადგომას, იყო საოცრად ოპტიმისტი, ქვეყნის დიდი პატრიოტი და მოამბე, შემდგომი თაობებისთვის მისაბაძი ადამიანი.

გვჯერა, რომ მისი განვლილი გზა უკვალოდ არ ჩაივლის. როდესაც დაინერება დამოუკიდებელი საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარების ისტორია, რამაზ ურუშაძე დამსახურებულად დაიმკვიდრებს საპატიო ადგილს, რათა მომავალმა თაობამ იცოდეს ჩვენი ქვეყნის ამ გამორჩეული პიროვნების შესახებ.

სანთელი

მეუღლე ნათია დომენია, ძმები რეზო, ზურაბ ამაშუკელები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი ამაშუკელი

დაკრძალვა 21 თებერვალს, გამოსვენება მცხეთის ქ. №4, 15 საათზე.

თენგიზ ქოიავა, ოთარ ბრეგვაძე, ვახტანგ ვეფხვაძე, შალვა მგალობლიშვილი ოჯახებით თანაუგრძობენ ბატონ რეზო ამაშუკელს ძმის

ირაკლი ამაშუკელის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფიზიკოსი, სსრ კავშირის სახელმწიფო, პეტრე მელიქიშვილისა და ნიკოლოზ მუსხელიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, აკადემიკოსი

თეიმურაზ კოვალევილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ოთარ, ვასილ და ირინა ტურაბელიძეები სამძიმარს უცხადებენ იური და ნინა ბელოვიანეელებს დედის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ლია ხუნდაძის

გარდაცვალების გამო.

არღვიწყვა

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს 90-იანი წლების ხელმძღვანელობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოში თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი, იმ პერიოდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და მინისტრის მოადგილე, ბატონი



რამაზ ურუშაძე

ბატონი რამაზი იყო დიდი მამულიშვილი, გამორჩეული თავისი ცოდნით, გამოცდილებით, შრომისმოყვარეობით, საქმის ერთგულებითა და ქვეყნის სიყვარულით. დიდი ჩვენი, მისი მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების გულისტკივილი მისი გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი: 19, 20. II 17 სთ; დაკრძალვა: 21, II 14 სთ; მისამართი: თბილისი, პეკინის ქ. №31, I სადარბაზო, II სართული.

სამართლებრივი საინჟინრო კადასტრის პრეზიდენტი

აცხადებს, რომ 2019 წლის 25 მარტს 15⁰⁰ საათზე სტუდს სააქტო დარბაზში ჩატარდება საქართველოს საინჟინრო აკადემიის საერთო კრება.

დღის წესრიგშია:

1. საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტების, აკადემიკოს-მდივნის და პრეზიდენტის წევრთა არჩევნები.

2. საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრთა (აკადემიკოსთა) და წევრ-კორესპონდენტთა არჩევნები.

დანვრილებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ საქართველოს საინჟინრო აკადემიის საორგანიზაციო განყოფილებას.

მისამართი: თბილისი, 0160, კოსტავას ქ. №77, კორპ. VIII, სართ. IV, ოთახი 423.

ტელ. (+995 32) 238 34 88; 599 34 79 22; E-mail: engacad@mail.ru

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“ კოსტავას ქ. №21. 599 79-76-79; 568 82-09-84



დიდ ბრიტანეთში უპილოტო ავტომანქანები გამოჩნდება

დიდი ბრიტანეთის მთავრობის გეგმის თანახმად, წლის ბოლოსთვის ქვეყნის საავტომობილო გზატკეცილებზე, გამოცდის მიზნით გამოჩნდება ავტომობილები, რომელსაც მძღოლი არ ჰყავს, ან საერთოდ არ გააჩნია საჭე. ასევე იგეგმება ამ ავტომობილების ტესტირების გახშირება და მთავარი ალგორითმის გაძლიერება, რაც მანქანის მოძრაობას უზრუნველყოფს.

ეს გამოცდა ჯდება ბრიტანელთა სურვილში, რომ 2021 წლისთვის თვითმართვადი ავტომობილების ბაზარი აითვისონ. ბრიტანეთის მთავრობა აცხადებს, რომ 2021 წლისთვის უპილოტო მანქანები უკვე კომერციულ გაყიდვაშიც გამოჩნდება. ბრიტანელები აცხადებენ, რომ ამ იდეის განხორციელებისთვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი საგზაო ინფრასტრუქტურის სრულ მზადყოფნაში მოყვანაა.

დღის კადრი

დიმიტრი მედვედევისა და ნიკოლაი ბასკოვის უხერხული ფოტო

სოციალურ ქსელში რუსეთის პრემიერის დიმიტრი მედვედევი და მომღერალ ნიკოლაი ბასკოვის უხერხული ფოტო ვრცელდება. ფოტო მიქელანჯელოს „დავითის“ ფონზეა გადაღებული.



ფიქრთ გასართვლად

სხვათაგან თქმური

* * *
ნას ერთ სულ მოსახლეზე მოდის, ყველას სულს არა სწყდება.

* * *
ნომსა სატირას კბილები სცვივა, მხოლოდ იდაყვის კმენა შეუძლია.

* * *
ნომტონს კინოში, ისე ვცხოვრობთ: ვიცით, რომ დასასრული იქნება, მაგრამ როდის – არ ვიცით.

* * *
ხან უფრო ადვილია, რომ დაიბნალო რაზე, ვიდრე დაამტკიცო,

რომ უდანაშაულო ხარ.

* * *
თუ პასუხისმგებლობას ვერ გაურბიხარ, ისეთი ვინმე მაინც იპოვებ, ვისაც გაუყოფდი ამ პასუხისმგებლობას.

* * *
ომში მთავარი გამარჯვება კი არ არის, ომში მთავარია, რომ არ მონაწილეობდე.

* * *
იმედი ზოლოს კვდება. სისუფელე საერთოდ არ კვდება.


* * *
ბახილში ზარმაცს დამლაგებლების მოვნილია.

მუსლიმი ქალი - ეროვნული პირველი ხმოსანი

სამართლებელს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში გაიხსნა გამოფენა, რომელიც ზუსტად 100 წლის წინათ საქართველოში ჩატარებულ პირველ საყოველთაო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებს შეეხება.

გამოფენის პარალელურად გაიმართა ფილმის – „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რამდენიმე დღის კინოქრონიკა“ (ავტორი ნინო ნატროშვილი, რეჟისორი ანდრო ჭიაურელი) ჩვენება და ისტორიკოს დავით ლოსაბერიძის ნაშრომის – „ადგილობრივი თვითმმართველობა 100 წლის წინ“ წარდგენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ფარი ხანუმ სოფიევას ფოტოპორტრეტი – უპარტიო, თბილისის მაზრის ეროვნული ხმოსანი, მსოფლიოში დემოკრატიულად არჩეული პირველი მუსლიმი ქალი.

რევაზ თოფურია



თურქეთის მსოფრთვობა აქამდე დააფიქსირეს

კვირას, 23:00 საათზე თურქეთის ქალაქ კასთამონუს მცხოვრებლებმა ცაზე ამოუცნობი მფრინავი ობიექტი (ამო) შენიშნეს. თურქული მედიის ინფორმაციით, თვითმხილველებს ობიექტი თავიდან თანამგზავრი ეგონათ, თუმცა რამდენიმე წუთში „გაარკვეეს“, რომ ამო იყო.

„ბურთი ძალიან ნათელი იყო და მის გარშემო იყო მკვეთრად მანათობელი აურა. ბევრი გამოვიდა ქუჩაში, რათა ობიექტი გადაეღო. თავდაპირველად ბურთი ძალიან შორს იყო, შემდეგ თანდათან გვიახლოვდებოდა და ბოლოს საერთოდ გაქრა. ბევრმა გაიფიქრა, რომ ეს იყო ამო“, ყვება კასთამონუსში მცხოვრები მურატ კოჩი. შეგახსენებთ, რომ ბოლოს ამოუცნობი მფრინავი ობიექტი 2008 წელს დააფიქსირეს.

მერილინ მონროს უხარბხარ ქანდაკებას დაუდგამენ

სამშენებლო კომპანიამ, რომელიც ლოს-ანჯელესში ცათამბჯენს აშენებს, კლიენტების მოსაზიდად მშენიერი იდეა მოიფიქრა.

მათი ცნობით, ცათამბჯენის წინ მსოფლიო ვარსკვლავის მერილინ მონროს გიგანტურ ქანდაკებას დადგამენ. მერილინის ქანდაკებას ზუსტად ისე შექმნიან, როგორც მის ფილმში „შვიდი წლის თავზე“ ყველასთვის ცნობილ კადრშია, სადაც მას თეთრი კაბა უფრიალებს. შენობაში განთავსებული იქნება ბინები და ოფისები, ქანდაკება კი უამრავ მყიდველსა და მზახველს მოიზიდავს.



ნარკოტიკულ ბიზნესმენებო, გონიერო ქვემოქედო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
599 53-76-16;

ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:

შპს „თანადგობა“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი
ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“

იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ISSN 2233-3851



ავტორთა საზურაღდეოდ!

რედაქციის მიერ შუამდგომლობის საფუძველზე დაინიშნება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ვაქცევის სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუხილავლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!



უხსოვრი ვალუტის კურსი:

აშშ დოლარი - 2.6413; ევრო - 2.9791;
ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.3851
100 რუბლი - 3.9608; თურქული ლირა - 0.5010;
ახარბაიჯანული მანათი - 1.5583;
1000 სომხური დრამი - 5.4181.

აქილი 19 თებერვლისთვის

აქილი 19 თებერვალით საქართველო:
ბარა - ლაპ 0, ლაპ +8
მთიანი რაიონები - ლაპ -4, ლაპ +4
დასავლეთი საქართველო:
ბარა - ლაპ +1, ლაპ +8
მთიანი რაიონები - ლაპ -4, ლაპ +1
თბილისი: ლაპ +3, ლაპ +8

დავითრეკამთ, მოგმართავთ:

ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge